# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge

შაბათი, 14 იანვარი. 2017 წ. №9-10 (8146-8147), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## სიტყვა დრაკონის მამამძუძეზეა ②



## წებელდის ციხე-სიმაგრე უნდა გადარჩეს!

**საქართველოს საპატრიარქოს განცხადება**

საქართველოს საპატრიარქო გულრიფშის რაიონში, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მესაზღვრეების მიერ ისტორიული ძეგლის და მიმდებარე სასაფლაოს განადგურების ფაქტს ეხმაურება.

**„რამდენიმე დღეა, ვრცელდება სხვადასხვა ინფორმაცია აფხაზეთში, გულრიფშის რაიონში, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მესაზღვრეების მიერ ისტორიული ძეგლის და მიმდებარე სასაფლაოს განადგურების შესახებ.**

**ბოლო მონაცემებით დასტურდება, რომ წებელდის ციხის კომპლექსში შემავალი მერვე-მეცხრე საუკუნეებით დათარიღებული ნაეკლესიარი, მართლაც იქნა დანგრეული და ასეთივე ბედი ეწია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აქ მცხოვრები პოლონელების სასაფლაოს.**

**საგანგაშოა ის ფაქტი, რომ მშვიდობიან პირობებში მიწისაგან პირისა ალიგავა მე-20 საუკუნის შუა ხანების სასაფლაო და გვიან შუა საუკუნეების ნასოფლარი, სამაროვანი და ეკლესიის ნანგრევები, რომელსაც ერთნაირად პატივს მივაგებდით როგორც ქართველები, ისე აფხაზები და იქ მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები.**

**ყველანი უნდა გავერთიანდეთ, რათა წებელდის ციხე-სიმაგრესაც საშიშროება არ დაემუქროს და საერთოდაც, მსგავსი რამ სხვაგან რომ აღარ განმეორდეს“.**



**ნაბზარი რაა, ყველა თქვენი ნაკაწრიც გვტკივა!**

## რუსული ვაჭრობა და ქართული წაგება ④

## სისოცხლის გამარჯვების იმედი არასდროს კვდება! ⑥

## თურქმენული ტვირთი საქართველოს სარკინიგზო დერეფანს დაუბრუნდა

**შვიდწლიანი ინტერვალის შემდეგ თურქმენული ტვირთი საქართველოს სარკინიგზო დერეფანს დაუბრუნდა. სახელმწიფოებს შორის გაფორმებული შესაბამისი დოკუმენტის მიხედვით, სამი წლის განმავლობაში, საქართველოს ტერიტორიაზე 4,5 მლნ ტონა თურქმენული ნავთობის ტრანზიტი განხორციელდება. მიღწეული შეთანხმების შედეგად ქვეყნის ბიუჯეტი ყოველწლიურად 60 მლნ ლარით შეივსება. გაიზრდება ასევე საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ტერმინალებსა და სატრანზიტო ინფრასტრუქტურაში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი.**

შეგახსენებთ, რომ 2007-2008 წლებში, საქართველოს ტერიტორიის გავლით, თურქმენეთიდან დაახლოებით 200 ათასი ტონა ნავთობი გადაიზიდებოდა. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, აღნიშნული ტვირთის გადამისამართება მახაჩკალის მიმართულებით ნოვოროსიისკის პორტში მოხდა.

## ზაზა ფაჩულია კვლავ მეორეზეა!



**საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი და „გოლდენ სტეიტის“ ცენტრი ზაზა ფაჩულია ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის NBA-ს All Star-ის გამოკითხვაში, მეორე შუალედური შედეგების თანახმად, დასავლეთ კონფერენციის წინახაზელთა შორის კვლავ მეორე ადგილზეა. ამჟამად ზაზას 823, 376 ხმა აქვს.** ⑤

## ძი იანჩი: ვიმედოვნებ, რომ მამლის წელი ჩინეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების წელი იქნება

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ძი იანჩი “აბრეშუმის გზის“ ფარგლებში ინვესტიციების ზრდას პროგნოზირებს. დიპლომატი ამბობს, რომ ჩინეთ-საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ ორი ქვეყნის ურთიერთობები სავაჭრო-ეკონომიკური და ინვესტიციების მიმართულებით კიდევ უფრო გაღრმავდება.

**„გასულ წელს ჩინეთისა და საქართველოს მთავრობებმა ბევრი გააკეთეს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისთვის.**

**მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც 2016 წელს დაფიქსირდა, იყო ის, რომ წარმატებით დასრულდა შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე.**

**დღეისათვის ორივე ქვეყანაში მიმდინარეობს იურიდიული პროცედურები ხელშეკრულების რატიფიცირებისათვის. მიმაჩნია, რომ 2017 წელი ჩვენთვის მნიშვნელოვანი იქნება და თუკი მოხერხდება, ხელმოწერილი იქნება ეს მნიშვნელოვანი შეთანხმება.**

**ეს ხელშეკრულება იძლევა საშუალებას ჩინეთსა და საქართველოს ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდეს სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში და ინვესტიციების მიმართულებით.**

**„აბრეშუმის გზის“ პროექტი წარმატებით ხორციელდება და მივიჩნევ, რომ ყველა ინვესტიცია ამ პროექტთან იქნება დაკავშირებული. მივიჩნევ, რომ ამ მხრივ საინტერესო იქნება ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და საფინანსო სექტორები.**

**ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ და ჩინეთმა და საქართველომ საკუთარი პოტენციალი კარგად უნდა შეაფასონ და თანამშრომლობა უფრო საქმიანი და წარმატებული გახადონ, ერთობლივად განახორციელონ ეს პროექტი.**

**ვიმედოვნებ, რომ მამლის წელი ჩინეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების წელი იქნება“,** — განაცხადა ძი იანჩიმ.

# სიტყვა დრაკონის მამამძუძეზეა

**იყო რაღაც წინასწარმეტყველური და იმავდროულად სასაცილოც გუშინწინ სიამის ტყუპების გაყოფაში.**

**ურმის თვალმა კიდევ ერთხელ გადაუარა ფუნის გორას და ორ არათანაბარ ნაწილად გაიყო.**

ეს „გაყოფა“ „ეროვნულ მოძრაობად“ და „ევროპულ საქართველოდ“, ანუ „ორთოდოქსებად“, — შერეკილ მიშისტებად და „ინტელექტუალებად“ ანუ პირობით მიშისტებად, ჯერჯერობით მხოლოდ მექანიკურია, ანუ ძნელი სავარაუდოა, რა გამოვა ამ ავანტიურისტული ექსპერიმენტიდან.

თუმცა ერთი კი აშკარაა: პარტია, რომელიც აგერ უკვე 16-17 წელია, კიბოსავით ხრავს საქართველოს სხეულს, ჩამოიშალა. რა გინდ საგულდაგულოდ გაიმამაცუროს ის გაფიჟვინებული თავ-პირი ნიკანდრო მელიამ, ფაქტია, რომ ნაცპარტია, როგორც ასეთი, თითქმის გავიდა გაღმა მარილზე. ნიკანდრო მელია იმისთვის, რომ „მან მოაშორა ქვეყანას ჭირი“, ნამდვილად იმსახურებს ღირსების ორდენს. იმდენი იტინგიცა, იმდენი იწუნკლა, ისე მოუთმენლად და დაუსრულებლად იჭყიტებოდა ტელეეკრანებიდან, ისე მოაბეზრა და მოაძულა ხალხს თავი, რომ პარტიის ლიდერები მიხვდნენ. ამ თავისმომჭრელ კაცთან ერთად, რომელსაც საიმედოდ აქვს აცრილი პრეპარატი „სააკაშვილი“, შორს ვერ წავიდოდნენ.




ის, რაც ვნახეთ ტელეეკრანებზე — ვინ ვინ არის და ვისთან არის, ვის გვერდზე დგას, უსიხარული ფიქრებს აღძრავს. ჯერჯერობით იკვეთება, რომ ნიკანდრო მელია მარტო იდგა დაბნეულ მომხრეთა შორის, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ გარკვეულან, რა მეხი დაატყდათ და ტრადიციული „ჯოს-ჯოს!“ შეძახილით ამხნევებენ ახლადმოჭრილი 20-თეთრიანივით მბზინავ მყისიერად გამოჩეკილ ლიდერს, რომელსაც აშკარად ბელადობის პრეტენზია აქვს. რაც მთავარია, მელიას შეუძლია შეკითხვაზე, ვინ გყავს ხალხიო, კინოფილმ „შეხვედრა წარსულთან“ გმირივით ამაყად მიანიშნოს ტვინგაცხელებულ ადამიანებზე: „ბენიე, სერგიე, მარიე, ქსენიე, დათოიე, შალიკიე... აი ხალხი!“

ოღონდ ბენიე და ქსენიე ჯერ ვერ აცნობიერებენ, ვის გვერდით აღმოჩნდნენ და რას აპირებენ.

აი, მეორე მხარეს კი იდგნენ ოჰოჰოჰო! — არა ბენიე და ქსენიე, არამედ ძირგამომთხრელი პარტიულ-უკუღმართული მოღვაწეობის ისეთი ვეტერანი გიგანტები, როგორებიც არიან გიგი უგულავა, გიგა ბოკერია, დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, ოთო კახიძე, ელენე ხოშტარია, ირმა ნადირაშვილი, გიგი წერეთელი, ირაკლი აბესაძე, გიორგი ტუღუში... მართალია, იმ წუთს იქ არ იდგნენ, მაგრამ თავიანთი არყოფნით იქაურობას ამშვენებდნენ კაკო ბობოხიძე, გოკა გაბაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, გივი თარგამაძე, გიორგი თევდორაშვილი, გიორგი კანდელაკი, გიორგი ღვინიაშვილი, დავით დარჩიაშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, თენგიზ გუნავა, ხათუნა გოგორიშვილი, ლევან თარხნიშვილი, ტარიელ ლონდარიძე, რამაზ ნიკოლაიშვილი, ლაშა დამენია, სერგო კაპანაძე, მამუკა ახვლედიანი, ვაჟა ჩიტიშვილი, ხათუნა ბერძენიშვილი, ახმედ იმამყულიევი...

თითოეული მათგანისაგან ოცდაათი მელია გამოიჭრება და აიწონება თავიანთი ბენიეთი და ქსენიეთი.

თუ ჩამოლაბორანტებული მიშა სააკაშვილი საიდანღაც, როგორღაც სინქრონულად უსმენდა იმ ბრიფინგს, სადაც ამ გიგანტების ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რიგებიდან გასვლა გამოცხადდა (ყოველ შემთხვევაში, ვიდეოჩანაწერს უმალ მიაწვდიდნენ) ალბათ გული ამოუვარდებოდა საგულედან.

დავით ბაქრაძეს არ დაუმალავს პარტიის დღევანდელი მძიმე მდგომარეობა.

ნაციხარმა გიგი უგულავამ, რომელსაც სწორედ იმის გამო, რომ ციხე ნახეხი აქვს და ამდენად თანაპარტიელებში წონიანი სიტყვაც უფრო ეთქმის, ნაცპარტიის არჩევნებში დამარცხება კანონზომიერ მოვლენად ჩათვალა. ამასთან პარტიის დანგრევამდე მიყვანის გამო პასუხისმგებლობა დააკისრა ერთადერთ ადამიანს, კაცს, რომელმაც შექმნა ეს პარტია. სააკაშვილს აგრეთვე უსაყვედურა ადამიანებთან ურთიერთობის მიუღებელი სტილი. მაგრამო, თქვა მან, წარსულზე ლაპარაკი არას გვარგებს, ვილაპარაკოთ იმაზე, რაც ახლა წინ გვაქვსო. და უსაფუძვლო ოპტიმიზმით რიხიანად გვახარა, ჩვენ ნულიდან ვიწყებთ ახალ მოძრაობასო!

ოთო კახიძე ამ „ნულს“ ჩაებღაუჭა და საზოგადოებას კარგა ხანია, ჩარჩენლი წყენა გაუზიარა. სულხან-საბას იგავის დათვისა არ იყოს, თავში ნაჯახით მიყენებული იარა რომ მოურჩა, ავი სიტყვით ნატკენი გული კი არა, ამ ფაქიზ კაცს არა და არ უნელდება: გვეუბნებოდნენ, სააკაშვილის გარეშე ნულები ხართო. არაო, ჩვენ ნულები არა ვართ, ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად არა ვარო.

გიგა ბოკერიას ხმა არ ამოუღია. მონა ლიზას იდუმალი ღიმილით, უმისამართოდ უღიმოდა სივრცეს. ბევრმა გაიფიქრა მაშინ, ნეტა მაგის ტვინში ჩამახედა, რა მამაძაღლობაზე ფიქრობსო.

რა მამაძაღლობაზეც ფიქრობს, გვიან გამოჩნდება!

სამაგიეროდ, რას ფიქრობს მელია-ხალიფა ერთი დღით, რომელმაც მარჯვედ დაიიღლიავა ეროვნული ნაციონალური მოძრაობა, როგორც თავის დროზე ბაჩუკი ქარდავამ — ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, იოლი სავარაუდოა.

ოღონდ დიდი შანსია, დღევანდელ ედპ-ს მსგავსად მელიას ენმ-ც (ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც) საპნის ბუშტად იქცეს.

ერთი სიტყვით, ბიჭებმა საუფლისწულო მამულები დაინაწილეს, კომაში ჩავარდნილ დრაკონს სუკები ააჭრეს. ოღონდ იმასაც უნდა დავაყურადოთ,, რას მოიმოქმედებს წაქცეული დრაკონის მამამძუძე.

**ალეკო ასლანიშვილი**

**სამადლობელი**

# ფრიდონ თოდუამ დემურ მიქაძე გადაგვირჩინა!

**პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ გოგინაშვილი ღრმა პატივისცემითა და უდიდესი სიყვარულის გრძნობით ულოცავენ შობა-ახალი წლის ბრწყინვალე დღესასწაულს, ასევე უდიდესი მადლიერების გრძნობით გამოხატავენ დიდ პატივისცემას, აკადემიკოს, ბატონ ფრიდონ თოდუასა და მისი სამეცნიერო კლინიკური ინსტიტუტის სახელოვანი კოლექტივის წევრების მიმართ — ჩვენი საზოგადოების პირველი ვიცე-პრეზიდენტის, სახალხო გენერლის, ქართველი ხალხის დიდი ქომაგისა და უშესანიშნავესი პიროვნების, ბატონ დემურ მიქაძის სიცოცხლის შენარჩუნებისთვის.**

# ვინც სკოლის დამთავრება ვერ შეძლო, სკოლაში დაბრუნება შეეძლებათ

იმ მოსწავლეებმა, რომლებმაც სკოლებში სწავლა გარკვეული მიზეზებით ვერ შეძლეს განათლების მინისტრის თქმით, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცემათ. როგორც ალექსანდრე ჯეჯელავამ განაცხადა, სწავლის დაწყება სკოლაში ზრდასრულ ადამიანებსაც შეეძლებათ. **„დღეს, ძალიან სასიხარულო ამბავი გამოვაცხადეთ. ეს არის განათლების ახალი შანსი. საუბარია იმ მოქალაქეებზე, რომლებმაც მიზეზების გამო ვერ მიიღეს სასკოლო განათლება — მიატოვეს სკოლა, ან ფიზიკურად არ ჰქონდათ სწავლის საშუალება. ჩვენ ვქმნით სისტემას, რომლითაც ასეთ ადამიანებს დავაბრუნებთ სკოლაში. 80 ბავშვი უკვე ვიპოვეთ და შევიყვანეთ დაწესებულებაში, რის შემდეგაც გააგრძელებენ სკოლაში სწავლას. მათ შორის საუბარია ზრდასრულ ადამიანებზე, რომლებმაც მიზეზთა გამო, წარსულში ვერ მიიღეს სასკოლო განათლება. ეს არის კიდევ ერთი ნაბიჯი ევროპისკენ, ნაბიჯი პროფესიული და პიროვნული თავისუფლებისკენ, რომელიც არის ჩვენი მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი ფუძემდებელი პრინციპი“,** — აღნიშნა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

# ნიკა მელია თანამდებობიდან გადააყენეს და ფრაქცია „ენმ“-ს სახელი შეუცვალეს

**„ენმ“-ს ყოფილმა წევრებმა ნიკა მელია ფრაქციის თავმჯდომარეობიდან გადააყენეს, საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობას“ კი სახელი შეეცვალა და მას „ევროპული საქართველო“ ეწოდა.**

მელიას ნაცვლად ფრაქციას სერგო რატიანი უხელმძღვანელებს. ინფორმაცია ჟურნალისტებს გიგი წერეთელმა მიაწოდა, რომელიც ასევე აცხადებს, რომ მიღებულია გადაწყვეტილება საპარლამენტო უმცირესობაში შემავალ მეორე ფრაქციაში დეპუტატების გადასვლის თაობაზე.



# ხოშტარიას სახელ-შეცვლილი ფრაქცია



**უმცირესობაში შემავალ კიდევ ერთ ფრაქციას, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა-საქართველოს წინსვლისთვის“ ეწოდებოდა, სახელი შეეცვალა და მას „ევროპული საქართველო უკეთესი მომავლისათვის“ ეწოდა. ფრაქციას ელენე ხოშტარია უხელმძღვანელებს. როგორც ხოშტარიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ფრაქციის შემადგენლობას ირაკლი აბესაძე და თენგიზ გუნავა დაემატნენ. ხოშტარიას ინფორმაციით, ამ დროისთვის ფორმალურად ფრაქციის შემადგენლობაში რჩებიან ის დეპუტატები, რომლებიც პარლამენტში „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენენ.**

ირაკლი აბესაძე და თენგიზ გუნავა პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიით, როგორც ამ პარტიის წევრები შევიდნენ. პარლამენტის რეგლამენტის გათვალისწინებით კი, ერთი პარტიული სიით არჩეულმა ერთი პარტიის წევრებმა შეიძლება მხოლოდ ერთი ფრაქცია შექმნან. პარლამენტის წევრს, თუ მისი პარტიის წევრებმა შექმნეს ფრაქცია, უფლება არა აქვს, იყოს სხვა ფრაქციის წევრი.

# „ნაციონალები“ თბილისის საკრებულოშიც გაიყვნენ

**„ნაციონალური მოძრაობის“ ერთი ფრაქცია პარტიაში დარჩენილებს, მეორე კი ე.წ. უგულავა-ბოკერიას მხარდამჭერებს დარჩებათ. ეს ფრაქციები ყოფილი და ახლანდელი წევრებით დაკომპლექტდება, რომლებიც გადანაწილდებიან. ფრაქციების სხდომა 16 იანვარს გაიმართება.**

ე.წ. ბოკერია-უგულავას გუნდის ფრაქცია ასე დაკომპლექტებდა: მამუკა ახვლედიანი, დავით ავალიანი და თამაზ შოშიაშვილი. რაც შეეხება მეორე ფრაქციას ე.წ. სააკაშვილის მხარდამჭერთა გუნდს — იქნებიან ირაკლი ნადირაძე, თემურ გრიგალაშვილი და მარიკა დათუკიშვილი. ფრაქციას კი ირაკლი ნადირაძე უხელმძღვანელებს.



**არსებული ინფორმაციით, ჯერჯერობით უცნობია, რომელ ფრთას შეუერთდება სევდია უგრეხელიძე.**

# კაპიტალზე წვდომა ყველა კომპანიას შეეძლება

## საქართველოში ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემის რეფორმა იწყება

**საქართველოს ეროვნული ბანკი და თბილისის საფონდო ბირჟა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის და ანგარიშსწორების სისტემის რეფორმას იწყებენ. პროექტი ითვალისწინებს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების სისტემის განახლებას და მასში საფონდო ბირჟის შვილობილი კომპანიის — საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ჩართვას. რეფორმა საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის ნაწილია, რომელიც საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა ერთობლივად შეიმუშავეს 2016 წელს. პროექტის დასრულებისთანავე საქართველოში გამოშვებული ნებისმიერი ტიპის ფასიანი ქაღალდით ანგარიშსწორება ერთიანი სისტემის მეშვეობით იქნება შესაძლებელი. იმავდროულად, საფონდო ბირჟა შეისყიდის ახალ სავაჭრო პლატფორმას კომპანია მონტრანისგან, რომელმაც ადრე უზრუნველყო საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ანგარიშსწორების სისტემის დანერგვა. უნდა აღინიშნოს, რომ საფონდო ბირჟის ახალი სავაჭრო პლატფორმა უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს და ინტეგრირებული იქნება ანგარიშსწორების ერთიან სისტემასთან.**



დღეს ეროვნულ ბანკში მხარეთა შორის ხელშეკრულებები გაფორმდა და პროექტის საორგანიზაციო საბჭოს პირველი შეკრებაც გაიმართა, რომელშიც ეროვნული ბანკის, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარისა და კომპანია მონტრანის წარმომადგენლები შედიან.

ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემა ეროვნულ ბანკში 2010 წლის ბოლოდან წარმატებით მუშაობს. მისი მომწოდებელია ამერიკული კომპანია Montran Corporation, რომლის ანალოგიურ სისტემებს იყენებენ მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში. 2010 წელს პროექტი USAID-ის თანადაფინანსებით წარიმართა და ორ კომპონენტს შეიცავდა. მეორე კომპონენტი RTGS სისტემაა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ყველა ბანკთაშორისი გადარიცხვა ლარით. მიმდინარე პროექტის ფარგლებში RTGS სისტემის ახალი ვერსიის დანერგვაც არის დაგეგმილი.

დღეს მოქმედი სისტემით ანგარიშსწორება ეროვნულ ბანკში შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს და ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით. ახალი სისტემა საშუალებას მოგვცემს ყველა ტიპის ქართული ფასიანი ქაღალდით (კერძო კომპანიების მიერ გამოშვებული ობლიგაციების და აქციების ჩათვლით) ანგარიშსწორება იყოს ავტომატიზებული, სწრაფი, დაცული და მოსახერხებელი. ახალი სისტემის მეშვეობით ანგარიშსწორება განხორციელდება ურისკო DvP მეთოდით, ეროვნულ ბანკში გახსნილ ანგარიშებზე (settlement in central bank money). სისტემის ინტეგრაცია როგორც საფონდო ბირჟის, ისე Bloomberg-ის სავაჭრო სისტემებთან მოგვცემს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისა და ანგარიშსწორების სრული ციკლის ავტომატიზაციას. ავტომატიზებული იქნება ასევე პროცენტის, დივიდენდის, ფასიანი ქაღალდის ძირითადი თანხის გადახდის ოპერაციები, ასევე მათი დაგირავება ეროვნულ ბანკში ან ბაზრის პროფესიონალ მონაწილეებს შორის.

პროექტი განხორციელდება ისეთ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, როგორებიცაა ECB (ევროპის ცენტრალური ბანკი), EBRD და Clearstream8 პროექტის ხარჯებს ეროვნული ბანკი, საფონდო ბირჟა და ცენტრალური დეპოზიტარი გაინაწილებენ. პროექტის პირველი ფაზის დასრულება 2017 წლის ბოლოსთვის იგეგმება.

**„აღნიშნული პროექტი იმ ფართომასშტაბიანი ღონისძიებების ნაწილია, რომლებიც საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარებას ემსახურება. ეროვნულ ბანკში უკვე 2010 წლიდან წარმატებით მუშაობს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა. იგეგმება მისი განახლება და ფუნქციონალური განვითარება. მასში ცენტრალური დეპოზიტარის ჩართვით სისტემა უკვე მთლიან საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარს მოემსახურება. ასევე, ეს ხელს შეუწყობს უცხოური საფინანსო ინსტიტუტების და ინვესტორების საქართველოს ფინანსურ ბაზრებზე წვდომის გაადვილებას, ვინაიდან ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა უფრო საიმედო და თანამედროვე ხდება“,** — განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ.

**„ეროვნულ ბანკთან აღნიშნული ერთობლივი პროექტი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის განვითარების კუთხით. ის ხელს შეუწყობს პროცესების ავტომატიზაციას, გაამარტივებს და უფრო მოსახერხებელს და უსაფრთხოს გახდის საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის ოპერაციებს და მათი საქმიანობა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისი გახდება. ეს კი ხელს შეუწყობს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობების და ლიკვიდობის ზრდას, ბაზარზე ახალი ფინანსური ინსტრუმენტების, ინვესტორებისა და ემიტენტების გამოჩენას, რაც, თავის მხრივ, გაუადვილებს ადგილობრივ კომპანიებს კაპიტალზე წვდომას“,** — განაცხადა საფონდო ბირჟის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ფარესიშვილმა.




# ძველებური მოტივი: წერონ და იკითხონ!

## HUMAN RIGHTS WATCH ადამიანის უფლებების შესახებ ანგარიშს აქვეყნებს – მასში საქართველოზეც არის საუბარი

**საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია** Human Rights Watch **ადამიანის უფლებების შესახებ 2016 წლის ანგარიშს აქვეყნებს. მოხსენებაში საუბარია საქართველოზეც. ანგარიშის მიხედვით, საქართველოში უსაფრთხოების სამსახურის მიერ მობილურ ოპერატორებზე წვდომა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას ზღუდავს.**

მოხსენებაში საუბარია სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ანგარიშვალდებულების ნაკლებობაზე. გამოთქმულია შეშფოთება მედიის თავისუფლებისა და ლგბტ პირების მიმართ უფლებების შეზღუდვაზე.

Human Rights Watch-ის მოხსენებაში საუბარია 2008 წლის ომზე და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დაკვეთით ომის დანაშაულსა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე დაწყებულ გამოძიებაზე.

ასევე მოყვანილია საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნა საპარლამენტო არჩევნების კონკურენტულ და კარგად ადმინისტრირებულ გარემოში ჩატარების თაობაზე, თუმცა ისიც წერია, რომ ადგილობრივი დამკვირვებლების ჯგუფებმა მიუთითეს ხმების მოსყიდვის, არაუფლებამოსილი პირების მიერ აგიტაციის რამდენიმე შემთხვევაზე.

რაც შეეხება „კაბელების საქმეს“, ანგარიშში წერია, რომ **„ყოფილი თანამდებობის პირების წინააღმდეგ აღძრული რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე კითხვებს აჩენდა შერჩევითი სამართლის და პოლიტიკურად მოტივირებული დევნის თაობაზე“.**

წინასაარჩევნო გარემოს მიმოხილვისას კი ნახსენებია გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების, ირაკლი ოქრუაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრაზე სროლისა და „ქართული ოცნების“ სამ აქტივისტზე თავდასხმის ფაქტები.

ანგარიშში საუბარია პოლიციის მიერ ძალის გადამეტებასა და არასათანადო მოპყრობაზეც.

**„საქართველოს არა აქვს დამოუკიდებელი, ეფექტური მექანიზმი სამართალდამცველების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად,“** — ნათქვამია ანგარიშში და მოტანილია გასულ წელს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ წარდგენილი ორწლიანი ანგარიში, რომელიც სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილ წამებას და არასათანადო მოპყრობას ეხებოდა.

ანგარიშში ასევე საუბარია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებზე ქვეყანაში. წინასაარჩევნო პერიოდში, ოპოზიციური პარტიის წევრებისა და მათი მხარდამჭერების უკანონოდ ჩაწერილი სატელეფონო საუბრის ინტერნეტში გამოქვეყნებაზე, რომელიც ავტორების თქმით, სავარაუდოდ, ამომრჩევლებზე ზემოქმედებას ისახავდა მიზნად. Human Rights Watch-ის ანგარიშში ასევე მოხვდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ტრანსგენდერებზე თავდასხმის ფაქტებიც.

# ავტორიტეტული ორგანიზაციების ანგარიშებს ითვალისწინებენ, თუმცა, ზოგჯერ არ ეთანხმებიან

საპარლამენტო უმრავლესობა Human Rights Watch-ის ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ 2016 წლის მსოფლიო ანგარიშს ეხმაურება და აცხადებს:

**„ჩვენ ყოველთვის ყურადღებით ვეცნობით ხოლმე ასეთი ორგანიზაციების, განსაკუთრებით** Human Rights Watch-**ის და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების კრიტიკულ შენიშვნებს. ხშირად ის ეყრდნობა კრიტიკულად განწყობილი ადგილობრივი ორგანიზაციების შეფასებებს და დასკვნებს. ჩვენ ყურადღებას არ ვაკლებთ ხოლმე, თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც არ ვეთანხმებით დასკვნებს, მაგრამ მაინც ვაპირებთ მის გათვალისწინებას“.**

# სოფიო შამანიდი საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლებს შეხვდა

**საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეთნიკური უმცირესობების საკითხებში სოფიო შამანიდი საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პირველ მდივანს დოროტა დლოუხი-სულიგას და თემატური სექტორის კოორდინატორს ივონ გოგოლს შეხვდა.**

შეხვერდაზე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე, მათ ჩართულობაზე ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ასევე, ბოლო დროს მოხესა და პანკისში მომხდარ ინციდენტებზე ისაუბრეს.



სოფიო შამანიდმა განცხადებით, ევროკავშირის წარმომადგენლები იმ პროექტებითაც დაინტერესდნენ, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება.

# გაზის მოქნილი პირობები „გაზპრომთან“




„გაზპრომი“ ქართულ მხარესთან მიღწეული შეთანხმების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. „გაზპრომ ექსპორტის“ ინფორმაციით, მხარეები ტრანსპორტირების საფასურის ფულადი სახით ანაზღაურებაზე შეთანხმდნენ.

**„რუსული მხარე 2017-2018 წლებში საქართველოს ტერიტორიის გავლით სომხეთში წელიწადში 2,0-2,2 მ3 გაზის ტრანსპორტირების საფასურის გადახდისა და საქართველოში გაზის მოქნილი პირობებით, 2016 წელთან შედარებით, 1000 მ3-ში 30 აშშ დოლარით ნაკლებ ფასად მიწოდების გარანტორად გამოდის“,** — ნათქვამია განცხადებაში.



# ზურა აბაშიძე ელჩად ინიშნება

**ირაკლი ალასანიას ყოფილი თანაგუნდელი „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი და ვიცე-სპიკერი, რომელმაც ალასანიას პარტია არჩევნების დასრულების შემდეგ დატოვა და „ქართულ ოცნებას“ მხარდაჭერა გამოუცხადა „პირველი რადიოს“ ინფორმაციით ყაზახეთში, საქართველოს ელჩად ინიშნება.** ზურა აბაშიძემ ელჩად შესაძლო დანიშვნის შესახებ ინფორმაცია „პირველ რადიოსთან“ საუბრისას დაადასტურა, მისი თქმით, ჯერ გადაწყვეტილი არ არის მისი დანიშვნა, თუმცა, კონსულტაციები მიმდინარეობს. „ჯერ დაზუსტებულად ვერაფერს გეტყვით, სავარაუდოდ, ასეც იქნება, მიმდინარეობს ამ ეტაპზე კონსულტაციები და ვნახოთ,“ — განუცხადა აბაშიძემ „პირველ რადიოს“.




# დრონი მეფობენ თუ... მეფენი?!

## ჯოშუა კუჩერა: არავინ იცის, გაგრძელდება თუ არა 20 იანვრის შემდეგ საქართველოსთვის აშშ-ის დახმარების სტრატეგია უსაფრთხოების სფეროში

**აშშ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობებზე, საქართველოში სენატორების ჯონ მაკკეინის, ლინდსი გრემის და ემა კლობუჩარის ვიზიტის მნიშვნელობასა და აშშ-ის პოლიტიკის სხვა პერიპეტიებზე, ამერიკული რადიოსადგურის „RADIO VOICE OF AMERICA“-ს კორესპონდენტი პორტალ „ევრაზიანეტის“ კავკასიის რედაქციის მთავარ რედაქტორს ჯოშუა კუჩერას ესაუბრა.**

**— როგორ შეაფასებდით სამი სენატორის (ჯონ მაკკეინი, ლინდსი გრემი, ემა კლობუჩარი) ორპარტიულ დელეგაციას საქართველოში და რა გზავნილი მიიღეს ამ ვიზიტით მოსკოვსა და ვაშინგტონში?**

— ცხადია, მათ იმის ჩვენება სურდათ, რომ დღევანდელი გაურკვევლობის მიუხედავად, თუ როგორი იქნება აშშ-ის პოლიტიკა რუსეთისა და მისი მეზობლების მიმართ, შეერთებული შტატების მთავრობის ერთი ნაწილი კვლავ საქართველოს მტკიცე მხარდამჭერი და რუსეთის მოწინააღმდეგეა. მოგზაურობის მარშრუტიც — ბალტიისპირეთი, უკრაინა და საქართველო — ცხადყოფს დელეგაციის გზავნილებს, რომელიც რუსეთისა და ამერიკის არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპისათვის იყო განკუთვნილი: თუ დონალდ ტრამპი აპირებს, რომ რუსეთისა და საქართველოს მიმართ ამერიკის პოლიტიკა კარდინალურად შეცვალოს, კონგრესი მას წინ აღუდგება.

**— შეძლებენ თუ არა აღნიშნული სენატორები აშშ-ის მომავალ ადმინისტრაციაზე გავლენის მოხდენას საკუთარი პოზიციების დასაცავად და რეგიონის ქვეყნების გვერდში დგომას?**

— ვფიქრობ, თუ დონალდ ტრამპმა პოლიტიკის შეცვლა ისურვა, ბევრ წინააღმდეგობას შეხვდება კონგრესში, სახელმწიფო დეპარტამენტში, პენტაგონსა და სხვა სამთავრობო უწყებებში. შესაძლოა, სენატორების ვიზიტი არჩეულ პრეზიდენტთან საჯარო ოპონირების მცდელობა იყო.

**— რისი თქმა მოახერხეს მათ ოფიციალური თბილისისთვის და რა იყო აქ ყველაზე საყურადღებო?**

ჯოშუა კუჩერა: მე რომ ქართველი ვიყო, ჩემ თავს ვკითხავდი, რითაა დღევანდელი ვითარება განსხვავებული იმისაგან, რასაც უკანასკნელი ათი წელია, ვხედავთ. კვლავ გვესმის გზავნილები საქართველოს მიმართ ამერიკის მადლიერებისა და ორი ქვეყნის მტკიცე მეგობრობის შესახებ, მაგრამ იცავს ეს გზავნილები საქართველოს რუსეთისაგან? არა. ჩვენ ეს 2008 წელსაც ვნახეთ. არა მგონია, მას შემდეგ თვისობრივად რაიმე შეცვლილიყოს. ამგვარად, ქართველი რომ ვიყო, ამ ყველაფერს ეჭვით შევხედავდი. მეჩვენება, რომ ეს სტუმრობა სენატორებისთვის კამერებთან პოზირების საშუალება იყო, რაც სინამდვილეში ბევრს არაფერს ნიშნავს. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია ამერიკის პოლიტიკის წვრილმანებს გადავავლოთ თვალი.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად მტკიცედ შეეცდება აშშ-ის მომავალი ადმინისტრაცია საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერას და მისი ინტერესების დაცვას რუსეთთან დიალოგის თუ ოკუპაციონისტური ხელისუფლების ჰიბრიდული ზრახვების, მოქმედებების გასანეიტრალებლად?**

— ჯონ მაკკეინს, ლინდსი გრემსა და ემა კლობუჩარს პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად ბევრი ბერკეტი არ გააჩნიათ. გასულ ზაფხულს შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის ახალი შეთანხმება გააფორმა. ეს შეთანხმება უსაფრთხოების სფეროში აშშ-ის დახმარების მიმართულებას ცვლის. აქამდე აშშ საქართველოს ავღანეთში გასაგზავნი კონტინგენტის მომზადებაში ეხმარებოდა. ამიერიდან აქცენტი გაკეთდება ტერიტორიულ თავდაცვაზე, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა უკეთ დაიცვან ქვეყნის ტერიტორია. ქართველებს ყოველთვის ეს სურდათ. საქართველო სამშვიდობო მისიებში იმიტომ მონაწილეობდა, რომ მისიები მისთვის ერთადერთი ამერიკული სამხედრო დახმარება იყო. ამგვარად, საქართველოსთვის უსაფრთხოების სფეროში ამერიკის დახმარების ტრაექტორია პოზიტიურად შეიცვალა, მაგრამ არავინ იცის, ასევე გაგრძელდება თუ არა 20 იანვრის შემდეგ. ზოგადად, სხვა თუ არაფერი, სამხედრო თვალსაზრისით მაინც ამერიკა საქართველოს ასე აქტიურად არასოდეს დახმარებია.

**— უშუალოდ ორმხრივი ურთიერთობების (საქართველო-აშშ) პოტენციაზე რას გვეტყვით?**

— ეს ის თემაა, რომელზეც ჯერჯერობით წარმოდგენა არა გვაქვს. მოვლენები, შეიძლება, ორივე მიმართულებით განვითარდეს. დონალდ ტრამპმა ნატოსთან დაკავშირებით ეჭვები უკვე გამოთქვა. ახალი ადმინისტრაცია ნატოს გაფართოებას, ალბათ, ნაკლებ ყურადღებას დაუთმობს. სიმართლე ითქვას, ნატოში შეერთებული შტატების გავლენა არასოდეს ყოფილა ისეთი უსაზღვრო, რომ საქართველო ალიანსში შეეყვანა. ამ მიმართულებით ბევრი არაფერი შეიცვლება. ასე ვიტყოდი: ჯერჯერობით ძალიან მწირი ინფორმაცია გვაქვს. ნათელია, რომ დონალდ ტრამპმა რუსეთზე ბევრი არაფერი იცის. ნათელია, რომ მას მოსწონს ვლადიმირ პუტინის, როგორც ძლიერი ტიპის იმიჯი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დონალდ ტრამპსა და რუსეთს საერთო პოლიტიკური ინტერესები აქვთ? ვეჭვობ. არა მგონია, თავად დონალდ ტრამპმა იცოდეს. ჩვენ, მით უმეტეს, წარმოდგენაც კი არა გვაქვს.

**— აშშ-ის მომავალი პრეზიდენტის გარდამავალ გუნდს, რუსეთთან მიმართებაში მათ განცხადებებს და არჩეული პრეზიდენტის ნომინაციების დამტკიცების პერსპექტივას როგორ უყურებთ სენატში?**

— არ ვიცი, რა გავლენა აქვს ჯონ მაკკეინს ვაშინგტონში. მეჩვენება, რომ დონალდ ტრამპისა და რუსეთის თემამ მას ენერგია შემატა. ჯონ მაკკეინი ძალიანაა გააქტიურებული. პრესა მას დიდ ყურადღებას უთმობს. მაგრამ მე ყურადღებას ტრამპის კაბინეტის წევრებზე უფრო გავამახვილებდი. ბევრი განხილვა და სპეკულაცია მოვისმინეთ. არა მგონია, კაბინეტის წევრების შესახებ ვინმეს ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეს. ზოგიერთი მათგანი რუსეთის მიმართ უფრო შემრიგებლურია, ზოგიერთი — ნაკლებად. ვვარაუდობ, რომ მათი ხმა იქნება გადამწყვეტი და არა ჯონ მაკკეინის, რომელსაც დონალდ ტრამპთან ცუდი ურთიერთობა აქვს. არ მესმის, როგორ შეიძლება, მან დონალდ ტრამპს აზრი შეაცვლევინოს. ვნახავთ, შეძლებს თუ არა ჯონ მაკკეინი რუსეთის მიმართ პოლიტიკის შეცვლის საწინააღმდეგოდ კონგრესის დარაზმვას, მათ შორის, დონალდ ტრამპის მიერ რუსეთისაკენ გადადგმული ნაბიჯების წინ აღდგომას.

**„ნიუსპრესი“**

**სპეციალურად „საქ. რესპუბლიკისთვის“**

# რუსული ვაჭრობა და ქართული წაგება

**ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე მეორე წელია, ამტკიცებს, რომ საქართველოს არ გააჩნია სხვა გზა, თუ არა რუსეთის პირობებზე დათანხმება და მისგან დამატებით ბუნებრივი აირის შეძენა.**

ორი დღის წინათ კახი კალაძე მინსკში „გაზპრომექსპორტის“ ხელმძღვანელობას რუსეთიდან სომხეთის მიმართულებით ბუნებრივი აირის ტრანზიტის საკითხზე სასაუბროდ შეხვდა, გუშინ კი ასე განაცხადა: „ჩვენს შეთანხმებას პოზიციის დათმობას ვერ დავარქმევდი. ჩვენ დღეს „გაზპრომთან“ ხელშეკრულება არ გვაქვს. არსებულ ხელშეკრულებას ვადა 2016 წლის 31 დეკემბერს გაუვიდა. თქვენ იცით, რომ მათი მოთხოვნა იყო გადავსულიყავით ფინანსურ ანაზღაურებაზე, როგორც ეს ნორმალურ, განვითარებულ ქვეყნებში ხდება (ტრანზიტის საფასურის გადახდით). წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვერ შევთანხმდებოდით, შეგვეძლო გაგვეგრძელებინა ბუნებრივი აირის წამოღება არაკანონიერად, ანუ მოგვეპარა. შემდეგ ამას მოჰყვებოდა სამართლებრივი რეაგირება, ანუ სასამართლოში წასვლა და ეს გაცილებით დიდი ზიანის მომტანი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის... იმ წინადადებით, რომელიც იქნა მიღებული, ფინანსურად ჩვენ ვიღებთ დაახლოებით იმავე შედეგს, რაც გვექნებოდა ნედლეულის მიღების შემთხვევაში და ეს საკმაოდ გასაგებად იქნა ახსნილი“.

ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ შეთანხმება, რომელიც რუსულ სახელმწიფო კომპანიასთან იქნა მიღწეული, „არის მაქსიმუმი, რაც არსებულ პირობებში იყო შესაძლებელი“. **„მიღწეული შეთანხმება არის მაქსიმუმი, რაც ამ პირობებში შესაძლებელი იყო გაკეთებულიყო. არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ხელშეკრულება განულდა პირველ იანვარს, ჩვენ ხელშეკრულება აღარ გვქონდა, ანუ არაფერი არ არსებობდა. ჩვენ ურთიერთობებს არაფერი არ არეგულირებდა. ნულიდან მიღწეულ ხელშეკრულებას შეხედეთ და არა იქიდან, საიდანაც დავიწყეთ. პოლიტიკურად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ საკუთარი ენერგეტიკული უსაფრთხოება სრულად შევინარჩუნეთ. ასევე შევინარჩუნეთ ის სტატუსი, რა სტატუსიც გვქონდა. ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად კვლავ აზერბაიჯანი დარჩა და გაზის მოწოდება დარჩა აზერბაიჯანიდან“,** — აცხადებს დიმიტრი ქუმსიშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ „გაზპრომი“ საკუთარ პირობას სომხეთის მიმართულების გაზსადენით მატარებელი ბუნებრივი აირის თაობაზე პირველად არ აყენებს. ანალოგიური გამოწვევის წინაშე საქართველოს ხელისუფლება გასული წლის დასაწყისშიც იდგა და მინისტრი კახა კალაძე, ისევე როგორც წელს, შარშანაც აცხადებდა, რომ საქართველოს არ ჰქონდა სხვა გამოსავალი, თუ არა რუსული კომპანიის პირობებზე დათანხმება. საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა პროტესტმა გასულ წელს პროცესები საქართველოს სასარგებლოდ შემოაბრუნა. საბოლოოდ, შეთანხმება შედგა საკითხზე, რაზეც შეთანხმების შანსის არსებობას ხელისუფლება გამორიცხავდა. თუმცა იქვე ითქვა ისიც, რომ ხელშეკრულება „გაზპრომთან“, რომლის მიხედვით საქართველოში რჩებოდა სომხეთისკენ მიმავალი ბუნებრივი აირის 10 პროცენტი, ტრანზიტის საფასურის სანაცვლოდ, აქტიური მხოლოდ 2016 წლის ბოლომდე იქნებოდა.

**„ამერიკის ხმა“ გასულ წელს ამ საკითხს გამოეხმაურა სტატიით — გაზპრომი“ მომავალი წლისთვის ივაჭრებს“. წელს ანალოგიური გამოწვევები და ანალოგიური მოცემულობაა, საქართველოს ხელისუფლება კი განსხვავებულ გადაწყვეტილებას იღებს, რაც შემდგომში დამატებითი მოცულობების პირდაპირი შესყიდვის წესზე თანხმობას გულისხმობს. „გაზპრომ“-ისთვის ეს შესაძლებლობაა დააწესოს პოლიტიკური ფასი აირზე“,** — მიიჩნევენ სპეციალისტები და ოპოზიციის წარმომადგენლები. მათი კონსოლიდირებული მოსაზრებები თავმოყრილია ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც 23 საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია აწერს ხელს. განცხადების ინიციატორია „კოალიცია ევროატლანტიკური საქართველოსთვის“.

**გიორგი ონიანი,** საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, „ამერიკის ხმასთან“ ამბობს:

**„დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობა იზიარებს პოზიციას იმის თაობაზე, რომ არ შეიძლება რუსეთზე იყო დამოკიდებული. გარდა ამისა, გვაქვს შარშანდელი გამოცდილება. მოლაპარაკებების წარმართვის პერიოდში იყო მცდელობა, რომ ცვლილება მომხდარიყო კონტრაქტში. მაშინაც სამოქალაქო საზოგადოებაც და ექსპერტთა ჯგუფები აქტიურად ვლობირებდით ამ საკითხს. შარშან გამოგვივიდა, ახლაც არ დავაკლებთ ცდას... ნამდვილად არ არის საქართველო ისეთ პოზიციაში, რომ სრულად დაეთმო რუსეთისთვის. ჩვენ ამას სრულად დათმობას ვუწოდებთ. ბუნებრივია, შესაძლოა, რუსეთის მომლაპარაკებლების პროფესიული მომზადება უკეთესი იყო, გულწრფელად რომ ვთქვათ, მაგრამ იშვიათადაა ისეთი შემთხვევები, როდესაც საქართველოს გააჩნია რეალური ბერკეტები რუსეთის პოზიციის ფორმირებისთვის და ეს სწორედ ასეთი შემთხვევა იყო. ახლა რუსეთის ძალიან მნიშვნელოვანი დაინტერესებაა იმაში, რომ ეს ტრანზიტი გაგრძელდეს.**

**„გაზპრომის“ პირობების შესახებ ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძის მიერ 2016 წლის დასაწყისში გაკეთებული განცხადებები წვეთი წყალივით ჰგავს წელს გამოთქმულ მისსავე მოსაზრებებს. საზოგადოებრივი პროტესტი თუ წელს ეფექტიანი იქნება და ხელისუფლება „გაზპრომის“ პირობების გადახედვის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდება, შესაძლოა, საქართველოსთვის ბუნებრივ გაზზე პოლიტიკური ფასის დაწესების საფრთხე განეიტრალდეს.**

„Radio Voice of America“ (აშშ)



სწავლა მოსწავლეთა

# სამუშაო ვიზიტით – ახალ ზელანდიაში



**„ბორჯღალოსანთა“ სამი მწვრთნელი და საქართველოს რაგბის აკადემიის ხელმძღვანელი სამუშაო ვიზიტით ახალ ზელანდიაში გაემგზავრნენ.**

ორკვირიანი ვოიაჟი საქართველოს რაგბის კავშირის ინიციატივით და „ბორჯღალოსანთა“ ახალზელანდიელი მთავარი მწვრთნელის მილტონ ჰეიგის კონტაქტების საშუალებით მომზადდა. ნაკრების შტაბიდან ჰეიგთან ერთად მისი ასისტენტი ლევან მაისაშვილი, შერკინების მწვრთნელი ბრედ ჰარისი და სრკ-ს აკადემიის ხელმძღვანელი ზაზა ლეჟავა გაფრინდნენ, რომელიც სამწვრთნელო საქმიანობის გარდა ზელანდიური აკადემიების მუშაობის სისტემასა და პრინციპებს გაეცნობა.

4-კაციანი ქართული დელეგაცია სუპერ რაგბის ორი ზელანდიური ფრანშიზის მუშაობის სტილს „დააჭაშნიკებს“. 15-იდან 22 იანვრამდე ისინი ოკლენდში, „ბლუზის“ ბაზაზე იცხოვრებენ, რომლის მთავარი მწვრთნელი ჰეიგის მეგობარი, ვეტერანი „ოლ ბლექი“ ტანა უმაგაა. უმაგა 2012 წლის ნოემბერში საქართველოში იმყოფებოდა და იმ პერიოდში ჰეიგს ასისტენტობას უწევდა.

გაწერილი პროგრამის თანახმად, ქართველი მწვრთნელები გუნდის ყველა ვარჯიშს დაესწრებიან, ზელანდიელ სპეციალისტებთან ერთად გაივლიან ვარჯიშის დაგეგმარების ეტაპს და სრულად იქნებიან ჩართულნი სამუშაო პროცესში. გარდა ამისა, მათ ექნებათ ინდივიდუალური შეხვედრები როგორც მთავარ, ასევე კონკრეტული მიმართულებების მწვრთნელებთან.

23 იანვრიდან 26 იანვრამდე ქართული დელეგაცია ველინგტონში იქნება, სადაც სუპერ რაგბის მოქმედი ჩემპიონის „ჰარიქეინზის“ მზადების პრინციპებს გაეცნობა. პროგრამა აქაც ისეთივეა, როგორიც „ბლუზის“ შემთხვევაში – სრული ჩართულობა სავარჯიშო პროცესში და ინდივიდუალური შეხვედრები სამწვრთნელო შტაბის წევრებთან. გარდა ამისა, ზაზა ლეჟავა გეგმავს, რომ ამ გუნდების სკოლებისა და აკადემიების მუშაობის თავისებურებებს გაეცნოს.

**კობა კობახიძე**

რეალური შანსი

# ზაზა ფაჩულია კვლავ მეორე ადგილზეა!

**საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი და „გოლდენ სტეიტის“ ცენტრი ზაზა ფაჩულია ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის NBA-ს All Star-ის გამოკითხვაში, მეორე შუალედური შედეგების თანახმად, დასავლეთ კონფერენციის წინახაზელთა შორის კვლავ მეორე ადგილზეა. ამჟამად ზაზას 823, 376 ხმა აქვს.**

პირველი შუალედური შედეგის მიხედვით ზაზას 439, 675 ხმა ჰქონდა დაგროვებული და ერთ კვირაში გულშემატკივრებმა აქტიური მხარდაჭერით ფაჩულიას ყველა ვარსკვლავთა მატჩში მონაწილეობის მიღების შანსი შეუნარჩუნეს. ზაზა პირველადგილოსან და თანაგუნდელ კევინ დიურანტს 160 ათასზე მეტი ხმით ჩამორჩება, ხოლო მესამეადგილოსან კავაი ლეონარდთან (630, 766) უპირატესობა საგრძნობლად გაზარდა.




დასავლეთ კონფერენციის უკანახაზელთა შორის ლიდერი სტეფ კარია, რომელმაც ჯეიმს ჰარდენთან უპირატესობა 4-დან 30 ათას ხმამდე გაზარდა. აღმოსავლეთში ფორვარდთა შორის ლიდერია ლებრონ ჯეიმსი, რომელმაც მილიონზე მეტი ხმა დააფიქსირა. „კლივლენდის“ ვარსკვლავს სერიოზულ კონკურენციას უწევს „მილუოკის“ მოთამაშე იანის ადეტოკუმბო (963, 110), ხოლო მესამეზე ჯეიმსის თანაგუნდელი კევინ ლავია. რაც შეეხება მცველებს, პირველ ადგილზე კაირი ირვინგია (971,362), მეორე პოზიციას კი დუეინ უეიდი იკავებს (514, 866).

წელს All Star-ზე კალათბურთელთა არჩევის ახალი წესი ამოქმედდა: კალათბურთელთა 50%-ს გულშემატკივრები ირჩევენ, ხოლო 25-25%-ს – ჟურნალისტები და თავად მოთამაშეები.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ლეგიონერი

## სოლომონ კვირკველია:

# „სკამზე ვეღარ დავჯდები, როგორც პირველ წრეში“




**„სპორტ-ექსპრესთან“ საუბარში „რუბინის“ მცველმა სოლომონ კვირკველიამ აღნიშნა, რომ მოსკოვის „ლოკომოტივი“, „როსტოვი“ და კიევის „დინამო“ მისი პერსონით დაინტერესებულნი იყვნენ.**

გარდა ამისა, ქართველი ფეხბურთელი მიიჩნევს, რომ ყველაფერი ყაზანელთა ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია და თუ მას გუნდში დარჩენა მოუწევს, უთამაშებლობას ვეღარ შეეგუება.

**– არსებობს უამრავი ჭორი თქვენს მომავალთან დაკავშირებით. არის რამე კონკრეტული?**

– ძნელია რამის თქმა. ალბათ, გსმენიათ მოსკოვის „ლოკომოტივის“, „როსტოვის“, კიევის „დინამოს“ ინტერესზე, თუმცა, ჭორები არაფერს ნიშნავს.

**– იყო საუბარი მთავარ მწვრთნელთან?**

– იყო. ჩვეულებრივად, როგორც ყველა მოთამაშესთან.

**– რას ფიქრობთ, რეალურია, რომ მოხვდეთ ძირითად შემადგენლობაში სეზონის მეორე ნაწილში?**

– ამის შანსი ყოველთვის არსებობს და ვიმედოვნებ, რომ ვითამაშებ. გუნდთან კონტრაქტი მაქვს და ყველაფერი დამოკიდებულია მის ხელმძღვანელობაზე. თუმცა, მე ვერ შევეგუები სკამზე ჯდომას, როგორც ეს ხდებოდა სეზონის პირველ ნახევარში.

**– როგორ რეაგირებენ ამაზე საქართველოს ნაკრებში?**

– რა თქმა უნდა, ეს უსიამოვნოა. სამჯერ თუ ოთჯერ ნაკრებში სათამაშო პრაქტიკის გარეშე ჩავედი და სასტარტო შემადგენლობაში ვიყავი. ჩავატარე კარგი მატჩებიც, მათ შორის გარეთ ბეილის წინააღმდეგ. დიდი მადლობა, რომ მწვრთნელი მენდობა. თითოეული მოთამაშის კარიერაში არსებობს ასეთი მომენტები და ვნახოთ, რა მოხდება მომავალში.

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

# ბასილაშვილი სტარტზე კოლშრაიბერს შეხვდება




**ავსტრალიის ღია პირველობის პირველ წრეში საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი მსოფლიო რეიტინგის 32-ე ნომერს, გამოცდილ გერმანელ ჩოგბურთელ ფილიპ კოლშრაიბერს შეხვდება.**

თუ ნიკა გერმანულ ბარიერს გადალახავს, შემდეგ ეტაპზე ამერიკელ დონალდ იანგს ან კვალიფიკაციის ერთ-ერთ გამარჯვებულს გაუწევს მეტოქეობას.

აქამდე ბასილაშვილი და კოლშრაიბერი ერთმანეთს არ შეხვედრიან. მატჩი 16 იანვარს თბილისის დროით დილის 4 საათზეა ჩანიშნული.

**ბადრი იაშვილი**

ჭადრაკი

# ჩადრის ტარება არ ისურვეს

**ქალთა შორის ჭადრაკში პლანეტის 2017 წლის ჩემპიონატზე მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მარია მუზიჩუკმა (უკრაინა), აშშ-ს მოქმედმა ჩემპიონმა ნაზი პაიკიძემ და ამავე ქვეყნის ექს-ჩემპიონმა ირინა კრაშმა იმ მიზეზით, რომ ჩადრის ტარება არ სურთ, მონაწილეობა არ ისურვეს.**



შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ ფორუმს ირანის დედაქალაქი თეირანი 10 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით უმასპინძლებს, ამ ქვეყანაში კი ნებისმიერ ღონისძიებაში მანდილოსნის მონაწილეობა ჩადრის გარეშე გამორიცხულია.

**ბეჟან დოლიძე**

სეზონის წინ

# ახალ ბოლიდს 23 თებერვალს ვნახავთ

**„მერსედესი“ მეორე გუნდია, რომელმაც თავისი ახალი სარბოლო ავტომობილის პრემიერის თარიღი გამოაცხადა. სამქიმიანებმა თავიანთი საჩემპიონო კამპანიის დასაწყისი 23 თებერვალს დანიშნეს. ბოლიდის ჩვენება სილვერსტოუნზე გაიმართება.**




ეს კი ნიშნავს, რომ ჩემპიონების W08-ს მეტოქე „ფერარის“ ახალ ბოლიდზე ერთი დღით ადრე ვნახავთ. შეგახსენებთ, რომ მარანელოელებს თავიანთი ავტომობილის პრემიერა ფიორანოს ტრეკზე აქვთ დანიშნული.

ახალი სეზონი ძირეულად განსხვავებული ტექნიკური რეგლამენტით ჩატარდება, რის გამოც გუნდებს სრულიად ახალი ავტომობილების მომზადება უწევთ, ამიტომ ისინი ცდილობენ, რომ რაც შეიძლება ადრე გამოიყვანონ ახალი სარბოლო ავტომობილები ტრასაზე.

ოფიციალური ტესტები ბარსელონაში 27 თებერვალს დაიწყება, თუმცა, გუნდებს საშუალება ექნებათ, ბოლიდები დისტანციაზე უფრო ადრე, სარეკლამო სესიებისთვის, ეგრეთ წოდებული „ფილმის დღეს“ გამოიყვანონ, რა დროსაც მათ ტექნიკის მინიმალური სრულყოფის საშუალება ეძლევათ ხოლმე. „მერსედესი“ ამ შესაძლებლობას სილვერსტოუნის ტრეკზე გამოიყენებს.

სავარაუდოდ, მსოფლიოს ჩემპიონ ნიკო როსბერგის შემცვლელს გუნდი უფრო ადრე დაასახელებს. დიდი ალბათობით, ეს ვალტერი ბოტასი იქნება, რომელმაც უკვე გაიარა სარბოლო სავარძლის მორგების პროცედურა.

**მანუჩარ გიორგაძე**




# სიცოცხლის გამარჯვების იმედი არასდროს კვდება!

**ახალ წელს მთელი მსოფლიო სხვადასხვანაირად აღნიშნავს. თითოეულ ქვეყანას საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტრადიციები და წესები გააჩნია.**

● **იაპონიაში** აუცილებელია ბრინჯის ფაფა, ჩაი, მაკარონი, ბრინჯის ღვინო, ბარდა ჯანმრთელობისა და ჭანარი, როგორც ძალის სიმბოლო. თუ ბავშვი დაიბადებოდა 31 დეკემბერს, პირველ იანვარს იგი უკვე მეორე წელიწადში იყო გადამდგარი.

● **ინგლისში** ყვავილებით რთავენ სახლებს. არავის არ ეპატიჟებიან, მაგრამ ყველას აქვს უფლება, შევიდეს უცნობთანაც კი. სუფრაზე დელიკატესად ითვლება გედი, რომელსაც სამეფო ფრინველად თვლიან. ბრიტანეთში მეოცე საუკუნემდე ერთი ორიგინალური ჩვეულება არსებობდა, ვინც წლის ბოლოს დაიფიცებდა, რომ მთელ წელიწადს არ წაჩხუბებია მეუღლეს, ის ქალაქის ხარჯზე ჯილდოდ იღებდა ღორის ბარკალს. 1144 წლიდან 1908 წლამდე ამგვარი ჯილდო მხოლოდ რვა მამაკაცს მიუღია.

● **აშშ-ში** შემორჩენილია ის ტრადიციები, რომლებიც ევროპელმა კოლონისტებმა შეიტანეს, ზოგი რამ კი მოგვიანებით ჩამოყალიბდა. ნიუ-იორკის ტაიმს-სკვერში ღამით თავს იყრის უამრავი ხალხი. 20-მეტრიანი ანძის წვერიდან, რომელიც ერთ-ერთ ცათამბჯენზე დგას, ნელა ეშვება პროჟექტორის სხივებით განათებული ვეებერთელა საჰაერო ბურთი. ზუსტად პირველის პირველ წუთზე ქრება შუქი და, 1904 წელს მიღებული წესით, ხალხი ხმამაღალი ყვირილითა და ხმაურით ხვდება ახალ წელს. ისვრიან ტკაცუნებს. ბევრი აწყობს „ღია კარის დღეს" და სტუმრებს სთავაზობს ცხელ პუნშს. ეს ჩვევა ნელ-ნელა იკარგება, გასულ საუკუნეში კი ისე იყო გავრცელებული, რომ გაზეთები აქვეყნებდნენ იმ ოჯახების სიებს, რომლებიც ასეთ დღეს აწყობდნენ. 1 იანვარს ეწყობა უნივერსიტეტის გუნდების მატჩები ამერიკულ ფეხბურთში. ქალაქ პასადენაში თამაშს წინ უძღვის „ვარდების ტურნირი".

● **ინდოეთში** აკრძალულია ჩხუბი და აყალმაყალი. ყველა ცდილობს, ერთმანეთთან თბილი და ლმობიერი იყოს.

● **ავსტრიაში**, ისევე როგორც გერმანიაში, სასიკეთოდ ითვლებოდა ბუხრის მწმენდელის დანახვა. კარგი ნიშანი იყო აგრეთვე ღორი, ნალი და სოკო.

● **ესპანეთში** ავ სულს გზას ულობავენ მახეებისა და ხაფანგების დადგმით. ისევე როგორც საქართველოშიც, მას აფრთხობდნენ თოფების სროლით.

● **დანიაში** თოვლისაგან აკეთებდნენ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების ფიგურებს და დამთვალიერებლებისაგან იღებდნენ ფულს, რომელსაც ზამთრისაგან დაზარალებულ და შევიწროებულ ხალხს ურიგებდნენ. ახალგაზრდები სახლის კარს აბრახუნებენ და ოჯახს ახალი წლის დადგომას ყვირილით ულოცავენ.

● **შვედეთში** ყველა ქალაქი ირჩევდა თავის დედოფალს, რომელიც ხალხში დადიოდა და საჩუქრებს არიგებდა.

● **უნგრეთში** საახალწლო მილოცვისას თუ ვინმე მოიღუშებოდა, ყურთან ბუკს მიუტანდნენ და ჩაჰყვიროდნენ. დღემდე არ მიირთმევენ ფრინველის ხორცს, რათა ბედნიერება ხელიდან არ გაუფრინდეთ.

● **განაში** საახალწლოდ ყველა წაჩხუბებული უნდა შერიგდეს.

● **ჩინეთში** იმპერატორი მზის ამოსვლამდე მიდიოდა ტაძარში. სასახლეში დაბრუნების შემდეგ კი მილოცვებს იღებდა. სამეფო ტახტთან გაკრული იყო ლოზუნგი: „იმეფოს იმპერატორმა ათი ათასი და ათჯერ ათი ათასი წელი". საახალწლოდ თეთრი ფერით იმოსებოდნენ. იტალიელი მოგზაურის, მარკო პოლოს ცნობით, მეფისათვის უნდა მიერთმიათ ასი ათასი თეთრი ცხენი. საახალწლოდ ზოგან ორი-სამი დღით ადრე იკეტება მაღაზიები. ზოგ დაწესებულებაში ორი კვირით ადრე წყდება მუშაობა. მათი რწმენით, ქუჩაში ხნიერი კაცის შეხვედრა კარგის მომასწავებელია, ქალისა კი – ცუდის.

● **კოლუმბიაში** ყველა ცდილობს ერთმანეთის მოტყუებას, როგორც ჩვენში პირველ აპრილს. ხელებსა და სახეს იღებავენ. ღამის 12 საათზე გაისმის აფეთქების ხმა და ძველი წელი ნაგლეჯებად იფანტება – ეს არის დიდი თოჯინა, ძველი წლის განსახიერება.

● **ნორვეგიაში** ქალაქის ქუჩებში დაატარებდნენ თივით გატენილ გრძელწვერა თხას-იულესვენს, რაც წარმართული დროიდან მოდის.

● **ბრაზილიაში** ახალი წლის ღამეს პლაჟები ხალხით ივსება. ისიც კი, ვინც ზღვასთან ახლოს არ ცხოვრობს, ცდილობს, როგორმე მივიდეს ზღვის სანაპიროზე და იქ მიიტანოს სპეციალური ძღვენი – ყვავილები, რომლებიც პატარა ხის ნავზეა დამაგრებული.





# მსოფლიოს ხალხთა საახალწლო სუფრის მშვენებანი

**ახალი წელი სხვა ზეიმებისგან არა მხოლოდ თავისი განუმეორებელი, ასე ვთქვათ, „სასაზღვრო" ნიშან-თვისებით, არამედ ლხინის სუფრის თავისებური მენიუთითაც გამოირჩევა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში ტრადიციულია და სხვებისგან განსხვავდება.**

**ქართული** სუფრის ამბავი ყველას კარგად მოეხსენება, ამდენად ჩვენებური საახალწლო კერძების ჩამოთვლას აღარ შევუდგებით და ლაპარაკს პირდაპირ ზოგიერთი ქვეყნის სამზარეულოს ნატიფი დელიკატესების შესახებ დავიწყებთ.

**საფრანგეთში** სადღესასწაულო მენიუში აუცილებლად შედის ლოკოკინები, ბატის ღვიძლის პაშტეტი, მრავალი სახეობის ყველი, განთქმული წვნიანები და საგანგებო წესით მომზადებული ინდაური: თეთრ ღვინოში წინასწარ ჩაბასტურმებულ ფრინველს რამდენიმე საათის განმავლობაში ღუმელში ნაირნაირ ბოსტნეულთან და სანელებლებთან ერთად თუშავენ.

**ინგლისში** საახალწლო მენიუს მთავარი მშვენებაა შემწვარი პურისგან, სხვადასხვა სახის ქიშმიშისგან, ალუბლისგან, ვაშლისგან, ნუშისა და ცუკატებისგან **(ანუ დაშაქრული ხილის ან ციტრუსების ქერქისგან– რედ.)** დამზადებული საშობაო პლუმ-პუდინგი. მასში ასევე ამატებენ ლიმონს, ფორთოხალს, კოჭას, დარიჩინს, მიხაკსა და ბადიანს. ერთობ საგულისხმოა, რომ ამ უაღრესად თავშეკავებულმა ხალხმა სუფრასთან პლუმ-პუდინგის მიწოდების სრულფასოვანი საახალწლო რიტუალი შექმნა: მზა ნუგბარს რომისა და ლიქიორის ნაზავს გადაასხამენ და სადღესასწაულოდ განწყობილ მაგიდასთან ცეცხლმოკიდებული მიაქვთ.

**იტალიელები** ცნობილი გურმანები არიან, ამიტომაც საახალწლო სუფრასთან მოლხენა დიდად უყვართ. კერძოდ, ამ დღეს პურ-მარილი განსაკუთრებულად მომზადებული ძეხვის – კოტეკინოს – გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. მას საგანგებოდ მხოლოდ საახალწლოდ ამზადებენ და აღმოსავლური ლულა-ქაბაბივით საგანგებო პურებში ჩადებული მიაქვთ. განსაკუთრებულ პიკანტურობას კოტეკინოს ის გარემოება ანიჭებს, რომ ცხიმიანი ღორის ხორცის გარდა ცომში ასევე მსხალს, შალოტ ხახვს, და ღვიის კენკრას უმატებენ. მთელ ამ ხმელთაშუაზღვისპირულ ნაზავს უხვად კმაზავენ სურნელოვანი სანელებლებით, ყავისფერი შაქრით, ვანილითა და წითელი ღვინის ძმრით.

კოტეკინოს შემდეგ, აპენინების მკვიდრნი ძირითად კერძებზე გადადიან, რომელთა შორის მთავარია ჯამპონე. ესაა შემწვარი ღორის ბარკალი, რომელიც ნაირ-ნაირი ბოსტნეულით – პამიდვრით, ბადრიჯნით, წიწაკით და ა.შ. არის დატენილი, ასევე დიდად უყვართ შემწვარი თევზეული. იტალიაში სადღესასწაულო სუფრა ასევე წარმოუდგენელია პომიდვრის ათასნაირად შეკმაზული საწებლის გარეშე.

ამ დღეს გემრიელად ჭამა, იცოცხლეთ, **გერმანელებსაც** უყვართ. საახალწლოდ ყველა ჭეშმარიტად ბიურგერულ ოჯახში სუფრაზე აუცილებლადაა ქლიავიანი ზუთხი ისპანახითა და ლიმონის ქერქით, რომელსაც ცომში ბრაწავენ და ზედ გემრიელ ვარდისფერ წიწაკას აყრიან. ასევე დიდად პოპულარულია შემწვარი კობრი არომატული მდოგვის კარტოფილით. ჩაროზად კი გერმანიაში ურჩევნიათ ნიგვზიანი ნამცხვარი ასევე ნაღებიანი და ბეზეიანი მარციპანის **(გახეხილი ნუშის, ნიგვზისა და გარგარის გულის ცო-**



**მისებრი მასა – რედ.)** ტორტი.

კონსერვატორი **ამერიკელები** თავიანთ ტრადიციებს არ ღალატობენ და ოჯახებით ნაირნაირი ბოსტნეულით დატენილ ინდაურს მიირთმევენ.

**მექსიკაში** ამ დღეს უარს ამბობენ საყვარელი ბურიტოსის ჭამაზე და უპირატესობას შემწვარ გოჭს ანიჭებენ, რომელსაც გარნირად ბრინჯს, ტკბილ წიწაკასა და შავ ლობიოს უდებენ, ხოლო მისაყოლებლად სხვადასხვა ბოსტნეული და ყველი აქვთ. დესერტად კი ლათინურ ამერიკაში ჩვეულებრივი, ჩვენთვის ასეთი ნაცნობი სიმინდის ფქვილის ტკბილ მჭადებს მიირთმევენ.

**ბულგარეთში** საახალწლო სუფრა წარმოუდგენელია მუსაკის გარეშე, რომლის ინგრედიენტებია ხორცი (ძირითადად ცხვრის) და სხვადასხვა ბოსტნეული – ბადრიჯანი, პომიდორი, ყაბაყი, კარტოფილი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ყველა ინგრედიენტი მუსაკაში ერთდროულად იდება, რის შედეგად დიასახლისებს სხვა წინასადღესასწაულო საქმიანობისთვის დრო რჩებათ. ისევე, როგორც ყველა სხვა ბალკანურ კერძს, მუსაკასაც ბლომად არომატულ ბალახეულსა და სანელებლებს უკეთებენ, რომელსაც გურმანი ბულგარელები არაჟანსაც უმატებენ.

**ნორვეგიაში** კი საახალწლო სუფრა წარმოუდგენელია თევზეულის კერძების გარეშე. ამ დღეს იქ და, საერთოდაც მთელ სკანდინავიაში, ამზადებენ ჩრდილოეთის ორაგულის განუმეორებელ წვნიანს, რომელიც ბოსტნეულით, ნაღებითა და მწვანილითაა შეკმაზული და მას შემწვარ პურს ატანენ. თუმცა კი საახალწლო მენიუ მარტო თევზეულით არ შემოიფარგლება. მასში ტრადიციულად შედის სხვადასხვა საწებელმოსხმული ღორის ან ცხვრის მოთუშული ნეკნები და ოჯახური კარტოფილის პიურე.

**შვედი** დიასახლისები კი დიდ დროს ანდომებენ ტრადიციული საახალწლო კერძის კროპკაკორის მომზადებას: მოხარშული კარტოფილისგან, ლორისგან და ღორის ცხიმისგან თავისებურ ცომს აკეთებენ, რომლისგან შემდეგ ბურთულებს კრავენ და მარილწყალში ხარშავენ.

ახალ წელს გემრიელად ჭამა **ფინეთშიც** უყვართ, სადაც საახალწლოდ ხილის ძმრით, სანელებლებით და მდოგვით შეკმაზულ ქათმის ბარკლებს მიირთმევენ. აღსანიშნავია, რომ ბარკლებს შამფურებზე წვავენ. იქაური ცივი მისაყოლებელი ფინეთში ჩრდილოეთის ხალხთა ტრადიციული კერძი სუგდაია – ესაა ცხიმიანი ახალი ჩაბასტურმებული თევზი.

**პორტუგალიასა** და ესპანეთში ახალი წლის ღამეს განსაკუთრებულ როლს ყურძენს ანიჭებენ, რომლის თითო კაკალი ყველამ საათის თითო ჩამორეკვაზე უნდა გადაყლაპოს და თან რაღაც-რაღაცების ასრულება ინატროს.

| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგ-თიხნაროვანი გრუნტის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით, მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა მოპოვებითი სამუშაოების წარმოება უნდა განახორციელოს მხოლოდ ოპერატორ კომპანიასთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო ზიანზე პასუხისმგებლობა დაეკისრება ლიცენზიანტს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. კრწანისის მიმდებარე ტერიტორია, „კრწანისის“ ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 295 500 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. კრწანისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 23 039 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე | 2 303,9 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| | (საწყისი ფასის 10 %) | |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 11 719 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 13

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და ,,წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფერმის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსანზე, ,,ქსნის“ ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია B + C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 72 000 მ³ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფერმის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 9 654 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 965,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 027 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 14

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და ,,წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქ სამტრედიის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 21 600 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქ სამტრედიის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 512 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 351,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 956 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 15

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ობიექტზე ქვიშის მოპოვება უნდა მოხდეს ,,მიწამწოვი“ ტექნიკის გამოყენებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და ,,წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქ სამტრედიის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყლის ქვიშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 23 700 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქ სამტრედიის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 853 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 385,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 127 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |

| | | |
|---|---|---|
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 16

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ხაშური, იმერეთის ქუჩა №120, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 4 000 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ხაშური, იმერეთის ქუჩა №120 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 129 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 12,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 265 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 17

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ორივე ჭაბურღილების თავმორთულობის მოწყობა-მოწესრიგება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. კარალეთის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა (ორივე ჭაბურღილზე ერთად) - 3 650 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. კარალეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 118 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 259 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 18

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს |

| | | |
|---|---|---|
| | | მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. შილდას მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 10 950 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი შილდას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 212 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 21,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 306 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 19**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 |
| | | ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწყობა, ჭის ამოსუფთავება, შემოღობვა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ხაშური, ბორჯომის ქ. №28, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 14 600 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ხაშური, ბორჯომის ქ. №28 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 472 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 47,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 436 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 20**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გორის მუნიციპალიტეტი, სოფელ ოთარშენის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1825 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოთარშენის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 59 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 230 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## პოლონეთის პრეზიდენტს ტრიბუნალით ემუქრებიან



**პოლონეთის ლიდერს ანჟეი დუდას ოპოზიცია ტრიბუნალით ემუქრება.** ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ პრეზიდენტი ხელს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს მოაწერს. 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი პოლონეთის სეიმში მწვავე დაპირისპირების მიზეზი გახდა. მას შემდეგ, რაც ოპოზიციამ პარლამენტის სხდომა დაბლოკა, უმრავლესობამ დოკუმენტი სხვა დარბაზში მიიღო. ოპოზიციამ კენჭისყრის შედეგები არალეგიტიმურად გამოაცხადა.

## სოჭელები გაზისა და დენის გარეშე



**ქალაქ სოჭის მოსახლეობა რუსეთის პრეზიდენტს გაზისა და დენის მიწოდებას სთხოვს.** ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ,,რაზდოლნაიას“ დასახლებაში მცხოვრებ მოქალაქეებს უკვე მეხუთე დღეა, გათბობის არანაირი საშუალება არ გააჩნიათ. რადიოს ცნობით, ადგილობრივი მოსახლეობა უკვე რამდენიმე წელია, გაზიფიცირებას მოითხოვს, თუმცა, უშედეგოდ. ხოლო დენის მიწოდება მათ უკვე რამდენიმე დღეა, შეწყვეტილი აქვთ და ვლადიმერ პუტინს მოუწოდებენ, გაამახვილოს ყურადღება მათ პრობლემაზე. მოსახლეობა აცხადებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შვილებს სიცივით გაყინვა ემუქრებათ.

## ერდოღანს უფლებამოსილება გაეზრდება

**თურქეთის პარლამენტმა საკონსტიტუციო რეფორმას მხარი დაუჭირა.** მმართველი პარტიის ინიციატივას, რომელიც პრეზიდენტის უფლებების გაზრდას ითვალისწინებს, 550 დეპუტატიდან ხმა 340-მა მისცა. საკონსტიტუციო ცვლილებები პრეზიდენტს ბრძანებების გამოცემის, მინისტრების დანიშვნისა და რეფერენდუმების ჩატარების უფლებას აძლევს. საკონსტიტუციო რეფორმის განხილვა პარლამენტში მწვავე დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს. ერთმანეთს მმართველი და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ფიზიკურად დაუპირისპირდნენ, რის შედეგადაც რამდენიმე ადამიანი დაშავდა.

## „რუსეთი ნატოს ერთიანობის დარღვევას ცდილობს“




**ამერიკის თავდაცვის მდივნობის კანდიდატი აცხადებს, რომ რუსეთს ნატოში განხეთქილების შეტანა სურს.**

„რეალობა დღეს ისაა, რომ რუსეთს ნატოს ერთიანობის დარღვევა სურს. რაც შეეხება რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებს, საკმაოდ გრძელი სია გვაქვს რუსეთთან თანამშრომლობის მცდელობისა, მაგრამ ძალიან ცოტაა შემთხვევები, როდესაც თანამშრომლობამ შედეგი გამოიღო,“- აღნიშნა ჯეიმს მეტისმა საკომიტეტო მოსმენაზე.

## ტერაქტი დამასკოში



**მორიგი ტერორისტული აქტი განხორციელდა სირიის დედაქალაქში.** თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი კარფ-სუსას რაიონში აიფეთქა. ტერაქტს 7 ადამიანი ემსხვერპლა, 10-მდე კი დაშავდა. რამდენიმეს მდგომარეობა კრიტიკულია.

## უნგრელი ოპერატორი გაასამართლეს



**უნგრელი ტელეოპერატორი პეტრა ლასლო, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი უღირსი საქციელით გახდა, გაასამართლეს.** მას 3-წლიანი პირობითი სასჯელი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის მიესაჯა. სკანდალური ინციდენტი 2015 წლის სექტემბერში მოხდა, როდესაც გადამღები ჯგუფი სერბეთის საზღვარზე მიგრანტთა კრიზისს აშუქებდა. ოპერატორმა ორი მიგრანტი წააქცია. მან ხანდაზმულ მამაკაცს, რომელსაც ხელში ბავშვი ეჭირა, ფეხი დაუდო. სასამართლო პროცესზე ლასლომ განაცხადა, რომ მიგრანტებისგან თავს იცავდა.

## ობამამ ტრამპს კუბელთა პრობლემები დაუტოვა




**კუბის მოქალაქეებს, რომლებიც აშშ-ის ტერიტორიაზე უვიზოდ შევლენ, ქვეყანაში ცხოვრების უფლებას არ მისცემენ.** შესაბამისი გადაწყვეტილება პრეზიდენტმა ობამამ მიიღო. დღემდე ლეგალური საბუთების მიღების შესაძლებლობა აშშ-ში მოხვედრილ ყველა კუბელ მიგრანტს ეძლეოდა.

### დღესასწაული

## წმინდა ბასილი დიდი – ახალი წლის ბედნიერად წარმმართველი




**14 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ახალი წლის პირველ დღეს ზეიმობს, დღესვე არის წინადაცვეთა იესო ქრისტესი, ასევე ხსენება წმინდა ბასილი დიდისა. 15 იანვარს სერაფიმ საროველის ხსენებაა.**

ახალი წლის პირველ დღეს ეკლესიაში აღესრულება წმინდა ბასილი დიდის წირვა.

ბასილი დიდი გაიზარდა წმინდანთა ოჯახში. პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ის სწავლობდა ათენის სკოლაში... შემდეგ ის ძალიან დიდხანს ცხოვრობდა უდაბნოში. მეუდაბნოესთან ის მოღვაწეობდა თავის განუყრელ მეგობართან გრიგოლი ღმრთისმეტყველთან.

ბასილი დიდი მართლმადიდებლობის დამცველი იყო მთელი სიცოცხლის მანძილზე...

ჰიპოთეზის თანახმად, ბასილი დიდი წარმოშობით საქართველოდან ყოფილა!

საგულისხმოა, რომ ბასილი დიდს ევედრებოდნენ წლის კეთილად და ბედნიერად წარმართვას.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩვენთან დიდი პოპულარობით სარგებლობს ბასილი დიდი, რაზეც მეტყველებს ისიც, რომ 14 იანვარისთვის აკეთებენ ჩიჩილაკს (ტრადიციულად მას თხილის ხისგან აკეთებენ) და მას მოფერებით „ბასილის წვერებს“ ეძახიან.

**გიული ლიპარტია**

## ნარკოდანაშაულისთვის აზერბაიჯანის მოქალაქე დააკავეს



**შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1984 წელს დაბადებული ს.რ., ნარკოდანაშაულისთვის, თბილისში დააკავეს.**

სამართალდამცველებმა, დაკავებულის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, 33,42 გრამი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, 21 გრამ ჰეროინს შეიცავს. პოლიციამ ასევე ამოიღო 4 კაფსულა ფსიქოტროპული ნივთიერება „პრეგაბალინი“.

## პრეზიდენტის სიძე დაჰკითხეს



**პრეზიდენტის სიძე მინდია გოგოჭური, რომელიც ამ დრომდე რესპუბლიკურ საავადმყოფოში რჩება, სამართალდამცველებმა გამოჰკითხეს.** რაც შეეხება გოგოჭურისა და მისი მეგობრის ჯანმრთელობის მდგომარეობას, მკურნალი ექიმის განცხადებით, ორივე პაციენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

### სანთელი

## მშვიდობით, ძმაო ნოდარ!



**შენი წასვლა დიდი დანაკლისია როგორც ჩვენთვის, ისე ქართველი საზოგადოების ბევრი გამორჩეული და რიგითი წევრისთვის.**

**ლიდერად იყავი დაბადებული და კიდევაც ღირსეულად ატარე ეს ბუნებით მონიჭებული ნიჭი.**

**გვახსოვს, ქალამნებით რომ მოხვედი პირველ კლასში თბილისის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში 1943 წელს და დაადექი ცხოვრების გრძელ და საინტერესო გზას.**

**რამდენი წამოწყების მოთავე და წინამძღოლი იყავი. მაგალითად, ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს სკოლის რადიოფიცირება... „პიონერთა დაფიონიდან“ შენი და შენი ძმის ვაჟას მიერ შესრულებული სიმღერა მრავალი წლის განმავლობაში ისმოდა ყოველ დილით...**

**სამთო მექანიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი იყავი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

**სპორტსმენი, სპორტის ოსტატი, მთამსვლელი. დაპყრობილი გქონდა კავკასიონის, პამირის, ალპების მრავალი მწვერვალი.**

**გატაცებული იყავი ფოტო და კინოდოკუმენტური ხელოვნებით. გაქვს საუკეთესო არქივი, რომელიც უთუოდ დაიდებს ბინას სათანადო დაწესებულებაში.**

**გვახსოვს იმ უბედურ დღეებში, როდესაც აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა ჭუბერის გადასასვლელით გადმოდიოდა სვანეთში, როგორ დარაზმე ახალგაზრდები და გადასასვლელზე იმ გათოშილ ხალხს ცხელი კერძებით ასულიერებდი.**

**და ბოლოს, შენი საკუთარი სახსრებით და საქმიანი კავშირებით გერმანელ მეცნიერებთან არაფრისგან შენ სამშობლო ქ.ქარელში შექმენი ხანდაზმულთა „შვების სახლი“. არაერთმა მეცნიერმა და პენსიონერმა მიიღო ის სიკეთე, რომელიც შენი გამოისობით სუფევს იმ სახლში.**

**შენ უდიდესი წვლილი გაქვს შენი და-ძმის შვილების აღზრდაში და ცხოვრების დიდ ასპარეზზე გამოყვანაში.**

**შენ აღადგინე ნადირაშვილების საგვარეულო ეკლესია იმერხევში.**

**მადლობა ღმერთს, რომ გვარგუნა შენთან მეგობრობა მრავალი წლის მანძილზე.**

**მადლობა შენ, რომ გვქონდა საბაბი შენით გვეამაყა. გამორჩეული საძმაკაცო გყავდა.**

**ნათელში იყავ.**

**შენი კლასელები.**
13.01. 2017.

---

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა სამძიმარს უცხადებენ ჯემალ და ალუ გამახარიებს ძმისშვილის**

## გოჩა გამახარიას

**გარდაცვალების გამო.**



# ორი ელისაბედი

**ვუძღვნი ჩემი უდროოდ წასული მეგობრის და შესანიშნავი მწერლის — სოსო პაიჭაძის შვილიშვილს — პატარა ელისაბედ შერგაშიძეს.**





დედამ უყიდა თუთიყუში პატარა ელის.
ელიმ მაშინვე სიხარულით დაიწყო ხტუნვა:
„ო, რა კარგია, მეყოლება ფერადი ჩიტი,
მინდა მე მასთან მეგობრობა და მასზე ზრუნვა“.

ჰკითხეს გამყიდველს, თუ რა ერქვა ამ ჩიტს ქოჩორას.
კაცს გაეღიმა: ნაცნობები ვეძახით მგოსანს,
ხოლო ისე კი ქალბატონი ელისაბედი
უწერიაო მოწმობაში ამ მანდილოსანს,

ელიმ იყვირა სიხარულით: „ვაშა და ვაშა“
სეხნიები ვართ ჩიტი და მე, რა გვინდა მეტი.
ახლა, დედიკო, გეყოლება შენ ორი ელი,
ანუ სხვაგვარად: ორი კარგი ელისაბედი!

თუთიყუში კი ჩუმად იყო, ალბათ ფიქრობდა,
მერე დაასკვნა, თითქოს გაჰკრა კვესზე აბედი:
„საყვარლებია და ტკბილები, როგორც კამფეტი,
ერთი პატარა, ერთი დიდი ელისაბედი“.

„ყოჩაღ, მგოსანო!“ — გამყიდველმა შეაქო ჩიტი, —
ოღონდ მითხარი, რომელია თქვენს შორის დიდი?“
„ცხადია, მე ვარ“ — თუთიყუშმა ასწია წარბი —
არ იცი, კაცო, ორას ლარად, თუ ვისა ჰყიდი?

თუთიყუშების კვალობაზე შუა ხნისა ვარ,
აბა, რა ვუყოთ, თუკი დიდი არა ვარ ტანით.
ისე, იცოდეთ, თუკი ვინმეს დავუმეგობრდი,
ჩვენს მეგობრობას ველარავინ ვერ გაჰკვეთს დანით.

„ვაშა და ვაშა“ კვლავ იყვირა მრავალჯერ ელიმ,
დაემშვიდობნენ კარგ გამყიდველს, ოხუნჯს და კეთილს...
ახლა ამბავი, რომ დამთავრდეს ელეგანტურად
სხარტსა და ლამაზს საჭიროებს ბოლოში წერტილს.

აი, წერტილიც... და მღეროდნენ სახლამდე ერთად:
„საყვარლები ვართ და ტკბილები, როგორც კამფეტი!“
ვინა მღეროდა? მე არა ვთქვი, მაგრამ ხომ მიხვდით?
ერთი პატარა, ერთი დიდი ელისაბედი.

**ᲒᲣᲠᲐᲛ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**



◉ ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲘ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ



# „ᲡᲕᲘᲠᲘᲡ“ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ

**ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ გამოფენების მრავალ სახეობას შორის, სხვებისგან დიდად გამორჩეული და გაცილებით უფრო იშვიათია ეგრეთ წოდებული „ერთი ნამუშევრის“ ვერნისაჟი. ეს, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ შემოქმედის სხვათაგან მხატვრული ღირსებებით (ან რაიმე სხვა ნიშნით) გამორჩეული ნამუშევარია ხოლმე, რომელიც გარკვეული მიზეზით დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს.**

სწორედ ასეთი ერთი ნამუშევრის გამოფენა გაიხსნა ძველით ახალი წლის წინა დღეს, 13 იანვარს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, რომელზეც დამსწრეთ სამამულო სახვითი ხელოვნების სიამაყის ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრული ტილო „სვირი“ წარუდგინეს.



საგამოფენო სივრცეში „გაახალგაზრდავებული“ ნახატის გამოჩენას უამრავი ხალხი დაესწრო. სიტყვით გამოსულმა ეროვნული მუზეუმის დირექტორმა **დავით ლორთქიფანიძემ** ხაზი გაუსვა „სვირის“ აღდგენაზე დახარჯულ დიდ შრომასა და გარჯას, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა **მიხეილ გიორგაძემ** მადლიერების სიტყვები არ დაიშურა მუზეუმის რესტავრატორ **ნანა მანაგაძის** მიმართ, რომელმაც უდიდესი ჯაფა გასწია „სვირის“ ასაღორძინებლად. თავად ქალბატონმა ნანა მანაგაძემ დამსწრეთ უამბო, თუ რა ძლიერ იყო დაზიანებული ნახატი — ტილო ერთიანად დაჭმუჭნილი და დაბზარული იყო, რისი ნახვა საგანგებო სტენდზე „სვირის“ რესტავრაციამდე გადაღებულ ფოტოზე შეიძლებოდა.




საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფართო საზოგადოებისთვის სურათი „სვირი“, რომელიც მუზეუმმა 1930 წელს შეიძინა (მანამდე ის გიორგი ლეონიძის საკუთრება იყო), თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე მიუწვდომელი იყო. მას შემდეგ, რაც ტილო მუზეუმის საკუთრება გახდა, მოყოლებული 1930 წლიდან, ის სულ სამჯერ — 1957, 1968 და 1978 წლებში იყო გამოფენილი. 1978 წელს ბოლო გამოფენის შემდეგ კი, მძიმე დაზიანების გამო, ფართო საზოგადოებას ნამუშევრის ხილვის შესაძლებლობა არ ჰქონია.

ნახატის წარდგენა მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ეროვნული მუზეუმის რესტავრატორმა ნანა მანაგაძემ მისი სარესტავრაციო სამუშაოების ხანგრძლივი პროცესი დაასრულა და ამჟამად გენიალური ფიროსმანის „სვირი“ მნახველთა წინაშე თავისი დიდებულების შარავანდედში შემოსული წარსდგა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამიერიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში ნიკო ფიროსმანაშვილის ახლად რესტავრირებულ „სვირთან“ ერთად ასევე წარმოდგენილი იქნება მისი ნამუშევრები „ნადირობა ინდოეთში“ და „დათვი მთვარიან ღამეს“.

**ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ,**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲡᲣᲚᲮᲐᲜ-ᲡᲐᲑᲐᲡ Ქ. №3

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲐ
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“ ᲨᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲐ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔ, ᲘᲧᲘᲓᲔ, ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔ!

**ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:**
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.7372; ᲔᲕᲠᲝ - 2.9091;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.3577;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.6129; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.7152;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.5165;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 5.6379.

**ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 14 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ**

| | | |
|---|---|---|
| **ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:** | | |
| ᲑᲐᲠᲘ - | ᲦᲐᲛᲔ -4 | ᲓᲦᲔ +6 |
| ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - | ᲦᲐᲛᲔ -12 | ᲓᲦᲔ +3 |
| **ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:** | | |
| ᲑᲐᲠᲘ - | ᲦᲐᲛᲔ -2 | ᲓᲦᲔ +14 |
| ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - | ᲦᲐᲛᲔ -7 | ᲓᲦᲔ +7 |
| ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: | ᲦᲐᲛᲔ -1 | ᲓᲦᲔ +5 |

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE